

პოლონელი პროფესორის ლექციები

25-26 ნოემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (ქ. შჩეცინი, პოლონეთი) ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორმა კრჟიშტოფ პენკალამ წაიკითხა ლექციები ბიოსამედიცინო ინჟინერიაში.

ღონისძიება განხორციელდა ERASMUS+-ის 1KA107-ის პროგრამის ფარგლებში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ტრანსნაციონალური პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას უწყობს ხელს.

ლექციებს ესწრებოდნენ სტუ-ს ინფორმატიკის და მართვის ფაკულტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ დეპარტამენტის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგისტრები, დოქტორანტები. ლექციები მიემდგნა ბიოსამედიცინო ინჟინერიის ისეთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს როგორცაა: გრაფენზე დაფუძნებული ბიოსენსორების გამოყენება ბიოინჟინერიაში, ვირტუალური მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულებების ტექნოლოგიები დიაგნოსტიკურ მედიცინაში, მულტიფოკალური ტექნიკა ელექტროფიზიოლოგიაში. ლექციების თემატიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებში.

პროფ. პენკალა, ასევე, შეხვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან მობილობის პროცესში მონაწილეობის მიმღებ აპლიკანტებს და გააცნო მათ ERASMUS+-ის პროგრამით სწავლის თავისებურებები და მოთხოვნები.

შეხვედრების და ლექციების ორგანიზება განხორციელდა სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახურის და პროფესორების სერგო დადუნაშვილის და ირინა გოცირიძის ხელმძღვანელობით.

